საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/96 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ნ. მერაბიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის №1/64 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 25 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 18 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 18 მოსამართლის, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ნათია მერაბიშვილის განაცხადი.

ნათია მერაბიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. იგი თავდაპირველად მუშაობდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. ნ. მერაბიშვილის სამოსამართლო სტაჟი, მრავალწლიანი გამოცდილება და მოტივაცია ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ნათია მერაბიშვილი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე